

მოთხოვნები აკადემიური, მოწვეული ან სამეცნიერო პერსონალის საკონფერენციო ნაშრომზე

1. ნაშრომი უნდა წარმოადგინოს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის აკადემიური, მოწვეული ან სამეცნიერო პერსონალის წევრმა, რომელიც მონაწილეობას დებულობს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით.
2. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე, ელექტრონული ფორმით
3. ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს ხუთ გვერდზე ნაკლები და 10 გვერდზე მეტი აბსტრაქტისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით.
4. ნაშრომში დაცული უნდა იყოს შემდეგი მიმდევრობა:
 - 4.1. ნაშრომის სათაური, ავტორ(ებ)ის (მომხსენებელი პირველ ავტორად) სახელი და გვარი. მომხსენებლის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხი და ელექტრონული ფოსტა;
 - 4.2. აბსტრაქტი (არა უმეტეს 300 სიტყვა);
 - 4.3. ძირითადი ტექსტი (იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილია ორიგინალური ტიპის ნაშრომი, ძირითადი ტექსტის შემადგენელი კომპონენტებია: შესავალი, მეთოდები, მიღებული შედეგების ანალიზი);
 - 4.4. დასკვნა;
 - 4.5. გამოყენებული ლიტერატურა - მითითების წესი: ავტორების გვარი, ინიციალები, სათაური, წიგნის/ჟურნალის დასახელება, გამოცემის ადგილი, წელი, წიგნის/ჟურნალის №. ტექსტში, კვადრატულ ფრჩხილებში, უნდა მიუთითოთ ავტორის შესაბამისი ნომერი ლიტერატურის სიის მიხედვით;
 - 4.6. ცხრილები, სურათები, ნახაზები, გრაფიკები, სქემები, დიაგრამები და სხვა საილუსტრაციო მასალა უნდა იყოს მოწოდებული ცალკე ფაილების სახით, JPG ან TIFF ფორმატში; ფორმულები - Microsoft Equation - ში; უნდა იყოს დანომრილი, დასათაურებული და ჰქონდეს მოკლე აღწერა.
5. ნაშრომი უნდა შესრულდეს Microsoft Word-ში, ფონტი - Sylfaen, ფონტის ზომა 12, ინტერვალი - 1.15.
6. ფურცლის ზომა A4, ველები: ზედა 2.0 სმ, ქვედა 2.0 სმ, მარცხენა 2.0 სმ, მარჯვენა 2.0 სმ
7. ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორ(ებ)ი.
8. ნაშრომის ფორმატი და ვიზუალური მხარე შეიძლება შეიცვალოს რედაქტორის მიერ საჭიროებისამებრ.